# სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა

გამოდის 1957 წლიდან

№ 6 (394 ) ივნისი, 2026 წელი












სტუდენტური ფესტივალი ყოველწლიურად საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს აერთიანებს, რომლებიც აქტიურად ერთვებიან ფესტივალის ფარგლებში გამართულ სხვადასხვა კონკურსში, სპორტულ ტურნირსა თუ შემოქმედებით აქტივობაში. „სტუდენტური ფესტივალი 2026"-ში საქართველოს 42 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 20 000-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა.  თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა, ტრადიციულად, არაერთ ნომინაციაში გაიმარჯვა:

**I ადგილი:** • დებატების კონკურსი; • ინტელექტუალური თამაში; • City Game; • ქართული ცეკვა; • ხალხური სიმღერა; • თანამედროვე ცეკვა; • თეატრალური დადგმების ტური; • ბენდების კონკურსი; • დარტსი (გოგონები); • ბილიარდი; • შაში (ვაჟები).

**II ადგილი:** • „წიგნების თარო"; • საესტრადო სიმღერა (დუეტები); • ბოულინგი; • შაში; • კარტინგი; • მაგიდის ჩოგბურთი (გოგონები); • ჭადრაკი (გოგონები); • ჭადრაკი (ვაჟები).

**III ადგილი:** • ფეინთბოლი; • პადელი; • ჩოგბურთი (ვაჟები); • ჭადრაკი (გოგონები).

„სტუდენტური ფესტივალი 2026" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით, სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს, თბილისის მერიის, რუსთავის მერიის და სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ორგანიზებით და მხარდაჭერით ჩატარდა.



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტში პროფესორ  შალვა თოიძის სახელობის ტოპოგრაფიული ანატომიის განახლებული მუზეუმი გაიხსნა – მუზეუმში წარმოდგენილი სველი და მშრალი ნიმუშის პრეპარატები უნიკალურ საშუალებას იძლევა სტუდენტების თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გასაღრმავებლად.

მრავალათეულწლოვანი ისტორიის მქონე მუზეუმმა ახალი სიცოცხლე შეიძინა, რადგანაც ნაწილი პრეპარატებისა დროთა განმავლობაში დაზიანდა და მათ რეაბილიტაცია ესაჭიროებოდათ.

გვ 2

## წერილები ალმა მატერს

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ალმა მატერს წერილებს სწერენ. მათი შეფასება და დამოკიდებულება ძალიან  მნიშვნელოვანია...

ასევე, ეს არის ყველაზე გამჭვირვალე პროცესი, რომელიც ცხადყოფს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ავტორიტეტს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან...

გვ 3-5

# ახალი უნიკალური მუზეუმი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტში, ახლახან, პროფესორ შალვა თოიძის სახელობის ტოპოგრაფიული ანატომიის განახლებული მუზეუმი გაიხსნა – მუზეუმში წარმოდგენილი სველი და მშრალი ნიმუშის პრეპარატები უნიკალურ საშუალებას იძლევა სტუდენტების თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გასაღრმავებლად.

მრავალათეულწლოვანი ისტორიის მქონე მუზეუმმა ახალი სიცოცხლე შეიძინა, რადგანაც ნაწილი პრეპარატებისა დროთა განმავლობაში დაზიანდა და მათ რეაბილიტაცია ესაჭიროებოდათ.

განახლებული და რეაბილიტირებული მუზეუმის გახსნას მიეძღვნა თსსუ-ის კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტში გამართული ხალხმრავალი შეხვედრა, რომელსაც, თსსუ-ის ადმინისტრაციულ, აკადემიურ პერსონალთან და მედიცინის სფეროს არაერთ წარმომადგენელთან ერთად, ესწრებოდა საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, ქალბატონი **თეა გიორგაძე.**

უნდა ითქვას, რომ საქართველოში, მედიცინის მეცნიერებათა განვითარების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია პროფესორ ნიკოლოზ კახიანის წვლილი და დამსახურება – დათმო რა სამეცნიერო კარიერა უცხოეთში, იგი ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის გასაძღოლად სამშობლოში ჩამოვიდა, მანამდე კი კაიროში შეისწავლა პრეპარატების დამზადების ტექნიკა და ეს მეთოდიკა საქართველოში ჩამოიტანა, თუმცა, სამწუხაროდ, ნ. კახიანმა მხოლოდ რამდენიმე პრეპარატის დამზადებაღა მოასწრო – ადრეულ ასაკში გარდაიცვალა.

კათედრის შემდგომი გამგე, პროფესორი ნიკოლოზ დემეტრაძე კარგად იცნობდა მშრალი პრეპარატების დამზადების მეთოდიკას და მანაც, აღნიშნული ტექნიკის გამოყენებით, მალევე დაიწყო მუშაობა მათ შესაქმნელად და, მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომელთა უმრავლესობა იმ პერიოდში სამამულო ომში გაიწვიეს, მაინც არ შეწყვეტილა კათედრაზე ამ მიმართულებით საქმიანობა.

კათედრას საკმაოდ ვრცელი პერიოდის განმავლობაში ხელმძღვანელობდა პროფესორი შალვა თოიძე, რომლის სახელი მაღალპროფესიონალიზმთან, აკადემიურ სიზუსტესთან და ახალგაზრდა თაობის აღზრდის განსაკუთრებულ მისწრაფებასთან იყო დაკავშირებული. იგი მუდამ ცდილობდა, შეექმნა პრეპარატები, მომავალ თაობას მათი უკეთ შესწავლის შესაძლებლობა რომ ჰქონოდა და, თუმცა, იმ პერიოდში უკვე არსებობდა სახელმძღვანელოები ამ საგანში, ბატონ შალვა თოიძეს მაინც მიაჩნდა, რომ თეორიული ცოდნა საკმარისი არაა სტუდენტის მიერ ადამიანის სხეულის მთლიანობაში აღსაქმელად და, სწორედ მისი მცდელობით, მალე ახალი სიცოცხლე შეიძინა მუზეუმმა.

აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში, ბატონ შალვა თოიძესთან ერთად, უდიდეს წვლილი აქვს ბატონ შამშე ქევანიშვილს, რომლის მიერ დამზადებულმა უნიკალურმა პრეპარატებმა ერთგვარი გადატრიალება მოახდინა გასული საუკუნის 50-იანი წლების ტოპოგრაფიულ ანატომიაში და, როგორც აღნიშნავენ, მის მიერ შესწავლილი ღვიძლის სისხლძარღვოვანი ანატომიური პრეპარატები უმჯობესი იყო ფრანგი მეცნიერის, კუინოს მიერ დამზადებულ ანალოგებზე, თუმცა, იმ პერიოდში ქართველ მეცნიერთა ნაშრომებს უცხოეთში წარდგენის და გაცნობის ნაკლები შანსი ჰქონდა და, შესაბამისადაც, იქ მათით ვერავინ დაინტერესდებოდა.

შეხვედრაზე კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ლიანა კიკალიშვილმა**, მადლობა მოახსენა თსსუ-ის ადმინისტრაციის და ინფრასტუქტურის სამსახურს, ამ უმნიშვნელოვანესი პროექტის წარმატებით დასრულებისთვის, რითაც მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს, ზოგადად, უნივერსიტეტის განვითარების საქმეში: – „ეს სივრცე ზუსტად ის პლატფორმაა, რომელიც აუცილებლად შეუწყობს ხელს მეცნიერებისა და განათლების შემდგომ განვითარებას. აქ წარმოდგენილი თითოეული პრეპარატი სტუდენტის ცოდნის წყაროა, ხოლო თითოეული სტუდენტი – ამ ცოდნის გამგრძელებელი", – აღნიშნა გამომსვლელმა.



პროფესორმა ლიანა კიკალიშვილმა, ასევე, აღნიშნა, რომ ახლადრეაბილიტირებული მუზეუმი სავიზიტო ბარათად იქცევა, არა მარტო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის, არამედ შევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში, რადგანაც იგი დარჩება თაობებს, აუცილებლად გაუძლებს დროს და მომავალი ექიმების ცოდნის გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **ირაკლი ნატროშვილმა,** გამოსვლისას, აღნიშნა, რომ ტოპოგრაფიული ანატომიის მუზეუმი უკვე რვა ათეული წელია, მნიშვნელოვან სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენს და შესანიშნავ საშუალებაა თაობებისთვის ანატომიური ცოდნის პრაქტიკაში გასაღრმავებლად. ბატონმა რექტორმა საზოგადოებას მიულოცა უნიკალური მუზეუმის განახლება და აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ყველაფერს გააკეთებს ამ პროცესის მაქსიმალურად ხელშესაწყობად და გასავითარებლად.

საინტერესოა, რომ მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ **დიმიტრი კორძაია**ს, დამსახურებით, მალე მუზეუმში განთავსდება უნიკალური სველი პრეპარატი – ადამიანის სხეულის პრეპარირებული მთლიანი ტორსი, რაც, უდაოდ, დიდი შენაძენი იქნება მუზეუმისთვის.

აღინიშნა ისიც, რომ სამუზეუმო სივრცის კვლავ გაფართოება ხელს შეუწყობს მომავალი თაობის მეტად დაინტერესებას და მათი ცოდნის არეალის ამ მიმართულებით უფრო გაღრმავება-განვრცობას, მით უმეტეს, რომ აქ წარმოდგენილი პრეპარატები, თავისი დანიშნულებით, უნიკალურია საერთაშორისო მასშტაბითაც.

დარეჯან კომლაძე

# ექსპერიმენტული მორფოლოგიისა და ანატომიური დისექციის უნარ-ჩვევების ექსკლუზიური კურსი თსსუ-ში



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უკვე 8 თვეა მიმდინარეობს ექსპერიმენტული მორფოლოგიისა და ანატომიური დისექციის ექსკლუზიური კურსი, კურსი 2025 წლის ოქტომბერში დაიწყო და დღემდე ის უკვე 700-მდე თსსუ-ის სტუდენტმა წარმატებით გაიარა.

ექსპერიმენტული მორფოლოგიისა და ანატომიური დისექციის კურსი, თსსუ-ის ექსპერიმენტული მორფოლოგიისა და ანატომიური დისექციის უნარ-ჩვევების ცენტრში ხორციელდება. ცენტრი უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო ადმინისტრაციული სივრცეა, სადაც მედიცინის, მედიცინის და სტომატოლოგიის საერთაშორისო და სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ადამიანის გვამზე (კადავერზე) ადამიანის სხეულის, შინაგანი ორგანოების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის და ნერვული სისტემის მაკრო და მიკრო ანატომიის სიღრმისეული შესწავლისთვის, ეუფლებიან ანატომიური დისექციის ტექნიკას. ორგანოების შესწავლის მორფოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენება, სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ უნარებთან ინტეგრირებაში ეხმარება. სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კლინიკურად მოდელირებულ სამედიცინო შემთხვევებს და ლაპარასკოპიულ ანატომიას, სადაც სტუდენტები თანამედროვე ანატომიური კვლევის მეთოდებს პრაქტიკულად ეცნობიან. მსგავსი ფორმატის პრაქტიკული სწავლება საქართველოში პირველად სწორედ, თსსუ-ში – ამ კურსის ფარგლებში დაინერგა. კურსის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ ქსოვილებისა და ორგანოების სივრცითი ურთიერთობების ანალიზს, ქირურგიული მიდგომების ანატომიურ საფუძვლებსა და პრაქტიკულ გამოყენებას.

პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა სამეცნიერო საქმიანობასაც - მორფოლოგიური და მორფომეტრიული კვლევების დაგეგმვას, ანატომიური მასალის მიღებასა და დამუშავებას, ანატომიური მოდელებისა და 3D რეკონსტრუქციების შექმნას, ასევე, მიღებული შედეგების სწორ დოკუმენტირებასა და ანალიზს. ცენტრში დაგეგმილია დიპლომისშემდგომი სწავლების მოკლევადიანი კურსები სხვადასხვა სპეციალობაში. გარდა ამისა, ცენტრში მოქმედებს სტუდენტთა სასწავლო-სამეცნიერო ექსპერიმენტული მორფოლოგიის კლუბი. სტუდენტები, რომლებიც წარმატებით დაასრულებენ კურსს, ერთიანდებიან ამ კლუბში, სადაც აგრძელებენ კვლევებს და ერთვებიან ტუტორინგის სასწავლო კომპონენტში თსსუ-ის იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ახლა იწყებენ აღნიშნული საგნის შესწავლას.

# პირველად საქართველოდან – თსსუ-ის გუნდი SIMUniversity-ის საერთაშორისო კონკურსის ფინალში

სამედიცინო განათლების სტანდარტების მიხედვით, სიმულაციური სწავლება სამედიცინო განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. **თსსუ-ის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციების ცენტრის** შექმნიდან ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა. ის 2004 წელს შეიქმნა, ჯერ, როგორც ლაბორატორია, შემდეგ კი ცენტრში დაარსდა დეპარტამენტიც, რომელსაც აკადემიური პროცესის სრულფასოვანი წარმართვა ევალება.

ამ მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო პრაქტიკის დანერგვის უზრუნველსაყოფად თსსუ-ის დელეგაცია ლიონში (საფრანგეთი) იმყოფებოდა.

SESAM-ის სიმულაციების ევროპული ასოციაცია ყოველწლიურად აწყობს საერთაშორისო კონფერენციას სიმულაციების შესახებ; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციების ცენტრის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით, აღნიშნულმა საერთაშორისო ასოციაციამ საკუთარ ჟურნალში გამოაქვეყნა ინფორმაცია რეზიუმეს სახით, თსსუ-ის ცენტრის – როგორც საერთაშორისო ასპარეზზე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ინსტიტუციის – შესახებ; ამ ჟურნალშივე, ახალი, თანამედროვე ფორმატით, განთავსდა პროფესორ **ირმა მანჯავიძის** სტატია – **„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – ტრეინინგ-ჰაბი საქართველოში"**.

ცენტრის დირექტორი, პროფესორი **ირმა მანჯავიძე,** ლიონში თსსუ-ის დელეგაციის ამჟამინდელ ვიზიტის შესახებ საუბრობს და აღნიშნავს, რომ უცხოეთში ყოველი სტუმრობისას, საშუალება ეძლევათ, ნათლად შეაფასონ და განსაზღვრონ თსსუ-ის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური ცენტრის რეალური



პოტენციალი და შესაძლებლობები. წელს, შარშანდელთან შედარებით, ლიონში გაცილებით დიდი მასშტაბის გამოფენა შედგა და სიამაყით შეიძლება აღინიშნოს, რომ თსსუ-ის ცენტრი თანამედროვე ბაზარზე არსებული და ამჟამად ლიონში წარმოდგენილი თითქმის ყველა ლიდერი კომპანიის პროდუქციის მფლობელია; ამასთან, ჩნდება სურვილი იმისა, რომ ცენტრი კვლავაც ახალი მულაჟებით განახლდეს და აღიჭურვოს დროის მოთხოვნის შესაბამისად.

ლიონის სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკური უნარების ცენტრის დათვალიერებისას, თსსუ-ის დელეგაციის ყურადღება მიიქცია იქ წარმოდგენილმა ძვირადღირებულმა სამედიცინო ტექნოლოგიურმა აპარატურამ ინტენსიური თერაპიის სიმულაციური ოთახის მოსაწყობად, როგორიცაა ვირტუალური სათვალე, ასევე, SIMStation-ი – სიმულაციური ტრენინგის ჩატარებისა და უკუკავშირისათვის, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, ეკრანზე დეტალურად გამოიტანოს პაციენტის სასიცოცხლო ნიშნების და ელექტროკარდიოგრამის ცვლილება მაღალი ფიდელობის მანეკენებზე სტუდენტების მოქმედებების პარალელურად.

SESAME-ის სიმულაციების ევროპული ასოციაციის 31-ე საერთაშორისო კონფერენცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლობისთვის, დიდი მნიშვნელობის იყო, რადგანაც საფინალო შეხვედრაში საქართველოს წარმომადგენლები პირველად მონაწილეობდნენ და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ხვდა წილად ეს პატივი. თსსუ-ის გუნდი იმ გამარჯვებულ SIMUniversity-ის ფინალისტ გუნდებს შორის მოხვდა. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად მონაწილე 15 ევროპული ქვეყნის გუნდებიდან წლევანდელ კონფერენციაზე, ონლაინ-დავალებების საფუძველზე, მხოლოდ 5 გუნდი შეირჩა.

თსსუ-ის გუნდის წარმომადგენლები გახლდნენ: **თსსუ-ის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინურ ცენტრთან არსებული სტუდენტური სიმულაციური კლუბის პრეზიდენტი ივლიანე სურმავა, თანადამფუძნებელი ბაჩანა აფციაური, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტები: მელიტა მელიქიშვილი და სოფო ჩომახიძე.**

თსსუ-ის წარმომადგენლებმა ნამდვილად გამოიჩინეს თავი, გამოავლინეს უნარები და, როგორც ჟიურის წევრებს, ასევე, კომერციული ფირმების წარმომადგენლებს, ძალიან შეაყვარეს თავი; ჩვენს ახალგაზრდებს ფავორიტ გუნდად მიიჩნევდნენ;

შეხვედრაზე, ასევე, იყვნენ წარმოდგენილნი თსსუ-ის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური ცენტრისა და მისი დეპარტამენტის თანამშრომლები; **პროფესორმა ირმა მანჯავიძემ**

**დასასრული გვ 7-ზე**

# წერილები ალმა მატერს




როდესაც ექვსი წლის წინ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, ყველაფერი ერთდროულად ახალი და ცოტა დამაბნეველიც იყო: ახალი გარემო, ადამიანები, სრულიად განსხვავებული სასწავლო პროცესი და ამასთან ერთად, პანდემია, თუმცა ეს წლები ჩემთვის ახალი გამოწვევების, პასუხისმგებლობისა და საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენის პერიოდი იყო, რამაც ბევრი რამ მასწავლა. ვფიქრობ, სწორედ ამ პროცესმა მომცა ის ცოდნა და უნარები, რომელიც პროფესიულ საქმიანობაში ყველაზე მეტად გამომადგება. ცხადია, იყო სირთულეებიც, თუმცა სახელმწიფო სტიპენდიის მიღება იყო პირველი ნიშანი იმისა, რომ ჩემი შრომა დაფასდა.

სწავლის განმავლობაში კიდევ ბევრჯერ მომეცა შესაძლებლობა, საკუთარი თავი სხვადასხვა გარემოში გამომეცადა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბულგარეთში, პლევენის სამედიცინო უნივერსიტეტში, სწავლის გამოცდილება. ახალ აკადემიურ გარემოში ყოფნამ საშუალება მომცა, განსხვავებული საგანმანათლებლო მიდგომები გამეცნო, საერთაშორისო აკადემიურ საზოგადოებაში ვყოფილიყავი ჩართული და სხვა კუთხით დამენახა მედიცინა. ეს გამოცდილება ჩემთვის როგორც პროფესიული, ისე პიროვნული ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო. ვფიქრობ, სწორედ ასეთი გამოცდილებები აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას, საკუთარი უნარები უკეთ შეაფასონ, ამიტომ ყველა სტუდენტს ვურჩევ ჩაერთონ მსგავს პროექტებში.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი უნივერსიტეტის პროფესორებსა და ლექტორებს, რომლებიც წლების განმავლობაში გვიზიარებდნენ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას. მათი დახმარებით ჩავერთე სამეცნიერო საქმიანობაში, ვმონაწილეობდი საინტერესო და იშვიათი კლინიკური შემთხვევების აღწერასა და საუნივერსიტეტო კვლევით პროექტებში. ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან ღირებული იყო და მომავალშიც ვგეგმავ ამ მიმართულებით საქმიანობის გაგრძელებას. მათგან მიღებული პროფესიული რჩევები და მხარდაჭერა მომავალშიც მნიშვნელოვანი გზამკვლევი იქნება ჩემთვის.

ვემშვიდობები სტუდენტობას და ვიცი, წინ არაერთი გამოწვევა მელის, თუმცა ეს არ მაშინებს. პირიქით, ამ წლებმა მასწავლა, რომ განვითარება კომფორტის ზონის მიღმა იწყება. მადლიერი ვარ ჩემი **Alma Mater**-ის იმ შესაძლებლობისთვის, რაც მომცა. იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რაც აქ მივიღე, მომავალში უდიდესი პასუხისმგებლობით გამოვიყენებ, რათა ჩემი საექიმო საქმიანობა ყოველთვის ადამიანების სიცოცხლის დაცვასა და მათ ღირსეულ მკურნალობას მოვახმარო.

ნიკოლოზ ჩაფიძე,
მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტზე სწავლა ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო. უნივერსიტეტში გატარებული წლები არ ყოფილა მხოლოდ მომავალი პროფესიის შესწავლა, აქ შევიძინე ისეთი თვისებები, როგორიცაა პასუხისმგებლობა, შრომისმოყვარეობა და მიზნისკენ მუდმივი სწრაფვა. უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა, ჩამოვყალიბებულიყავი დამოუკიდებელ პიროვნებად და მომავალ სტომატოლოგად.

ამ რთული და საინტერესო გზის გავლაში ყველაზე დიდი როლი შეასრულეს ჩემმა ლექტორებმა; მათი დახმარებით შევძელი პროფესიული უნარების განვითარება და რწმენის მოპოვება. მათმა ცოდნამ, გამოცდილებამ, საქმისადმი უდიდესმა სიყვარულმა მომცა მოტივაცია და მასწავლა, რომ წარმატება მხოლოდ ნიჭის დამსახურება არ არის, ის ყოველდღიური შრომის, მოთმინებისა და საკუთარი თავის მუდმივი განვითარების შედეგია.

უნივერსიტეტმა მაჩუქა მეგობრები და მომავალი კოლეგები, რომლებთან ერთადაც ვიზიარებდი როგორც რთულ სასწავლო დღეებს, ასევე ბედნიერ წუთებს. სწორედ ამ ადამიანების წყალობით გახდა ჩემი სტუდენტური ცხოვრება უფრო მხიარული, საინტერესო და დასამახსოვრებელი.

დღეს, როდესაც ამ მნიშვნელოვანი ეტაპის დასასრულს ვუახლოვდები, ჩემი უნივერსიტეტი ყოველთვის დარჩება ადგილად, რომელმაც მასწავლა, როგორ ვაქციო ცოდნა საქმედ და ოცნება — მიზნად.

სალომე ანთაძე,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

ვამთავრებ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს და უკან მრჩება ბედნიერი 4 წელი, რომელმაც ჩემი პროფესიული და პიროვნული განვითარება მნიშვნელოვნად განსაზღვრა.



სტუდენტობა ჩემი ცხოვრების საუკეთესო და დაუვიწყარი პერიოდია, არა მხოლოდ ცოდნის შეძენის, არამედ მუდმივად ახალ-ახალი შესაძლებლობების აღმოჩენის და უწყვეტი განვითარების თვალსაზრისით.

უნივერსიტეტში შევიძინე მყარი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კიდევ უფრო გავითავისე პროფესიისთვის აუცილებელი თვისებები: უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა და ჰუმანურობა...

განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ლექტორების და ადმინისტრაციის მიმართ, რომლებმაც, ცოდნასთან ერთად, პროფესიის სიყვარული და მუდმივი განვითარების მოტივაცია გამიღვივეს. მათი მხარდაჭერა და პროფესიული რჩევების გაზიარება ჩემთვის ფასდაუდებელი იყო.

ამ წლების მანძილზე არაერთი გამოწვევა გადავლახე, შევიძინე მეგობრები და გამოცდილება, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გამყვება.

ვამაყობ, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ და მჯერა, რომ აქ მიღებული ცოდნა პროფესიული საქმიანობის ღირსეული თანმდევი იქნება.

მადლიერებით ვემშვიდობები საინტერესო და ნაყოფიერ სტუდენტურ წლებს და დიდი პასუხისმგებლობით ვდგამ ნაბიჯს პროფესიული მომავლისკენ.

თამთა ფაცაცია,
საექთნო საქმის საბაკალავრო ქართულ-ავსტრიული პროგრამის კურსდამთავრებული

მედიცინა ყოველთვის მიზიდავდა, როგორც სფერო, რომელიც აერთიანებს მეცნიერებას, ადამიანებზე ზრუნვასა და მუდმივი განვითარების შესაძლებლობას. სწორედ ამ ინტერესმა და სურვილმა, ჩემი ცოდნა ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებას მოხმარებოდა, მიმიყვანა ექიმის პროფესიის არჩევამდე, უნივერსიტეტში გატარებულმა ექვსმა წელმა კი მომცა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ — შესაძლებლობა, მეპოვა მიმართულება, რომელიც დღეს ჩემს მომავალ პროფესიულ გზას განსაზღვრავს.



ამ დროის განმავლობაში მოვახერხე ჩავრთულიყავი საერთაშორისო კვლევით და გაცვლით პროექტებში, მემუშავა იშვიათი დაავადებების მიმართულებით, წარმომედგინა ჩემი ნაშრომები საერთაშორისო კონფერენციებზე და მეკვლია საკითხები, რომლებიც რეალურ გავლენას ახდენს პაციენტებისა და ოჯახების ცხოვრებაზე. საწყის კარიერულ გზაზე წინსვლაში განსაკუთრებული როლი ითამაშეს პროფესიონალებმა, რომლებმაც, თავიანთი ცოდნის, გამოცდილებისა და მხარდაჭერის გაზიარებით, ჩემს პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას შეუწყვეს ხელი.

ყველაზე ძვირფასი, რაც ამ წლებმა შემძინა, მეგობრებია — ადამიანები, რომლებთან ერთადაც გავიზიარე გამოწვევები, წარმატება და დაუვიწყარი მოგონებები. სწორედ ეს გამოცდილება მაძლევს მოტივაციას, არ გავჩერდე და გავაგრძელო წინსვლა.

მეგი ლარცულიანი,
მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული



ოთხი წელი, ერთი შეხედვით, დიდი დროა, მაგრამ თვალის დახამხამებაში გავიდა. ფარმაციის ფაკულტეტზე ჩაბარებიდან დღემდე უამრავი ცოდნა, გამოცდილება და მოგონება დამიგროვდა.

ფარმაციის ფაკულტეტი ჩემთვის მხოლოდ სასწავლო სივრცე არ ყოფილა, ის ადგილია, სადაც გავიზარდე და მომავლის საფუძველი ჩავუყარე.

ეს წლები იყო ახალი მეგობრების, გამოწვევების, დაუვიწყარი ლაბორატორიული პრაქტიკების და საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენის პერიოდი; ვისწავლე არა მხოლოდ მედიკამენტების, მცენარეული ნედლეულის და ფარმაცევტული ტექნოლოგიების, არამედ — პასუხისმგებლობის, შრომისმოყვარეობისა და პროფესიონალიზმის მნიშვნელობაც.

გამოცდების სტრესულმა დღეებმა, დაღლილობამ, სირთულეებმა კიდევ უფრო მასწავლა მიზნისა და წარმატებისთვის ბრძოლა.

დღეს, როდესაც სტუდენტური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი სრულდება, მადლიერებით ვიხსენებ თითოეულ ლექტორს, რომელმაც იმედის ნაპერწკალი გამიჩინა, რომ მე ამას შევძლებდი, კურსელებს და იმ ბედნიერ დღეებს, რომლებმაც ეს ოთხი წელი განსაკუთრებული გახადა.

ეს ოთხი წელი დასრულდა, წინ ახალი გამოწვევები, პასუხისმგებლობები და შესაძლებლობები მელის, აქ გატარებული დრო კი ძვირფას და ნათელ მოგონებად დარჩება. თუ თავიდან მომიწევდა არჩევნის გაკეთება, ისევ ფარმაციის ფაკულტეტს ავირჩევდი. მჯერა, რომ მომავალში ამ დარგს კიდევ ერთი მეცნიერი შეემატება ჩემი სახით.

ფარმაციის ფაკულტეტი ერთი პატარა თბილი ოჯახია, რომელმაც ცოდნა მაჩუქა, მეგობრები და ფერადი მოგონებები.

მარიამ მესხი,
ფარმაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

# წერილები ალმა მატერს



ამბობენ: უნივერსიტეტის კედლებში დრო სწრაფად გარბისო... მართალიც, დღეს სრულად ვაცნობიერებ ამ სიტყვების მნიშვნელობას — თითქოს სულ ახლახან შემოვაბიჯე თსსუ-ში ახალი მიზნებით, ოცნებებით, მოლოდინით... და აი, ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა.

ეს ოთხი წელი ჩემთვის არა მხოლოდ აკადემიური განათლების მიღების, არამედ პიროვნული ზრდის, პროფესიული ჩამოყალიბებისა და ახალი შესაძლებლობების აღმოჩენის პერიოდი იყო. უნივერსიტეტმა მომცა ცოდნა, მასწავლა პასუხისმგებლობა, შრომისმოყვარეობა, კრიტიკული აზროვნება და მუდმივი განვითარების მნიშვნელობა.

გარდა ამისა, უნივერსიტეტში შევიძინე მეგობრები, რომლებთან ერთადაც გავიზიარე სტუდენტური ცხოვრების საუკეთესო შთაბეჭდილებები; ეს დიდ სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა სტუდენტური წლების ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი მონაპოვარია.

დღეს, როდესაც ბაკალავრიატის საფეხურს ვასრულებ, მადლიერებით ვიხსენებ თითოეულ დღეს, რომელიც უნივერსიტეტში გავატარე და რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჩემს პიროვნებაზე.

მინდა გულწრფელი მადლიერება გამოვხატო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიმართ — განსაკუთრებით ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ-მასწავლებლებისა და უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომლისადმი, რომლებმაც საკუთარი ცოდნით, პროფესიონალიზმითა და კეთილგანწყობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩემს პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაში.

დარწმუნებული ვარ, თსსუ-ში მიღებული ცოდნა მყარი საფუძველი იქნება მომავალი კარიერული ზრდის და პროფესიული წარმატებისთვის.

ლაშა ცალახაძე,
ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული



რამდენიმე წლის წინ, როდესაც უნივერსიტეტის კარი პირველად შევაღეთ, გულში დიდი ოცნებები, იმედები და მოლოდინები გვქონდა. წინ უცნობი გზა გველოდა. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რამდენ სირთულეს, უძილო ღამეს, ემოციასა და გამოცდილებას შეგვძენდა სტუდენტური ცხოვრება. ვიცოდით მხოლოდ ერთი რამ – გვქონდა მიზანი და გვინდოდა ჩვენი ოცნების პროფესიას დაუფლებოდით.

თავიდან ყველაფერი რთულად გვეჩვენებოდა – ახალი გარემო, ახალი პასუხისმგებლობები და მუდმივი შრომა. დღეს კი უკან მოხედვისას ვხვდებით, რამდენი რამ ვისწავლეთ, რამდენი სირთულე დავძლიეთ და რამდენად დიდი გზა გავიარეთ.

ამ გზაზე ჩვენთვის განსაკუთრებული ძალა ერთმანეთის მხარდაჭერა იყო. როგორც ტყუპები, ცხოვრების ამ ეტაპზეც ერთად ვიყავით — ერთად ვიზიარებდით წარმატებებს, ერთად ვუმკლავდებოდით სირთულეებს და ყოველთვის ერთმანეთისთვის მოტივაციის წყარო ვიყავით.

დღეს, განსაკუთრებული სიამაყით ვაცნობიერებთ, რომ არა მხოლოდ საკუთარი ოცნების ასრულება შევძელით, არამედ ერთმანეთის წარმატების ნაწილიც გავხდით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ჩვენს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აქ არა მხოლოდ პროფესიულ ცოდნას ვიღებთ, არამედ ვპოულობთ მეგობრებს, რომლებიც ხშირად მთელი ცხოვრების თანამგზავრები ხდებიან. ერთად ვიზიარებთ წარმატებებს, სირთულეებს, გათენებულ ღამეებსა და ბედნიერ მომენტებს. გაგვიმართლა,რომ არაჩვეულებრივი ჯგუფელები გვყავდა. მათთან ერთად გატარებულმა წლებმა სტუდენტური ცხოვრება უფრო საინტერესო, თბილი და დაუვიწყარი გახადა.

დღეს, როდესაც უნივერსიტეტის დასრულების ეტაპზე ვართ, განსაკუთრებული მადლიერებით ვიხსენებთ ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ამ გზაზე მხარი დაგვიჭირა და ჩვენი წარმატების ნაწილი გახდა.

უდიდესი მადლიერება გვინდა გამოვხატოთ სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ნანა ყიფიანის მიმართ, რომლის მხარდაჭერასა და თანადგომას ყოველთვის ვგრძნობდით. მისი მზრუნველობა, კეთილგანწყობა და სტუდენტებისადმი დამოკიდებულება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და დასაფასებელია.

ასევე განსაკუთრებული მადლიერებით ვიხსენებთ ჩვენს ლექტორებს, რომლებმაც ყოველთვის დააფასეს ჩვენი შრომა და ძალისხმევა. მათგან მიღებული მოტივაცია და მხარდაჭერა ჩვენთვის დიდი ძალა იყო ამ გზის გასავლელად.

სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს გზა ღირსეულად გავიარეთ. წინ ახალი გამოწვევები და ახალი შესაძლებლობები გველოდება, თუმცა უნივერსიტეტში გატარებული წლები ყოველთვის დარჩება ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებულ ნაწილად. ერთ დღეს, როდესაც უკვე ექიმები ვიქნებით, ალბათ, ღიმილით გავიხსენებთ სტუდენტობის წლებს – აუდიტორიებს, მეგობრებს, გამოცდების წინ გათენებულ ღამეებსა და იმ პატარა ნაბიჯებს, რომლებმაც დიდი მიზნისკენ მიგვიყვანა.

ლეილა ორუჯოვა,
ნაილა ორუჯოვა,
სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები



როდესაც პირველად შევაბიჯე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, არ ვიცოდი, რა მელოდა წინ. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ მსურდა ჩემი მომავალი ჯანდაცვის სფეროსთან დამეკავშირებინა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა არის სფერო, რომელიც გვასწავლის, რომ ჯანმრთელობა მხოლოდ ინდივიდის საქმე არ არის, ის მთელი საზოგადოების პასუხისმგებლობაა. სწორედ ამიტომ, ამ მიმართულებით მიღებული ცოდნა ჩემთვის მხოლოდ პროფესიული მომზადება არ აღმოჩნდა, არამედ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერების საფუძველიც გახდა.

თუმცა, თუ მკითხავენ, რა არის ჩემი ყველაზე დიდი შენაძენი უნივერსიტეტში, უყოყმანოდ ვუპასუხებ, — ჩემი ჯგუფელები. მათთან ერთად გავლილი გზა, გაზიარებული წარმატებები, გამოცდებისთვის ერთად მზადება, ურთიერთმხარდაჭერა და მეგობრობა იმ ღირებულებებად იქცა, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გამყვება.

ბაკალავრიატის დიპლომის აღება ჩემთვის თსსუ-სთან დამშვიდობებას სულაც არ ნიშნავს, ეს მხოლოდ ერთი ეტაპის დასასრულია. ჩემს მომავალ პროფესიულ ზრდასა და სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას ისევ მშობლიურ უნივერსიტეტში ვგეგმავ.

დღეს, ოთხი წლის შემდეგ, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის ყველაზე მაღალრეიტინგულმა კურსდამთავრებულმა, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა ცოდნასთან ერთად, მაპოვნინა ყველაზე მნიშვნელოვანი — ადამიანები, რომლებმაც ჩემი სტუდენტური გზა დაუვიწყარ გამოცდილებად აქციეს. მომავალ სტუდენტებს კი ვურჩევ, არ გაუშვან ხელიდან არცერთი შესაძლებლობა, იყვნენ აქტიურები, ისწავლონ, განვითარდნენ და განსაკუთრებით დააფასონ ადამიანები, რომლებსაც ამ გზაზე შეხვდებიან, რადგან საბოლოოდ სწორედ ისინი იქცევიან სტუდენტობის ყველაზე ძვირფას მოგონებად.

ანანო ფალაშვილი,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ფაკულტეტის კურსდამთავრებული



ჩემთვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი მხოლოდ პროფესიული განათლების მიღების ადგილი არ ყოფილა — ის იყო სივრცე, სადაც, როგორც ექიმი და როგორც პიროვნება, ჩამოვყალიბდი. ამ წლებმა ბევრი რამ მასწავლა, არაერთ საინტერესო ადამიანს შემახვედრა და მომცა გამოცდილება, რომლისთვისაც მუდამ მადლიერი ვიქნები.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ შესაძლებლობა მქონდა, ჩემი საქმიანობაც გამხდარიყო სასწავლო პროცესის ნაწილი და თსსუ-ში მიკრობიოლოგია და ჰისტოლოგია მესწავლებინა. სტუდენტებთან ურთიერთობა ჩემთვის განსაკუთრებული გამოცდილება აღმოჩნდა. სწავლების პროცესმა საშუალება მომცა, საკუთარი ცოდნა და შესაძლებლობები სხვა თვალით დამენახა, პროფესიულად კიდევ უფრო გავზრდილიყავი და ბევრი რამ თავად სტუდენტებისგანაც მესწავლა.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მხარდაჭერით კლინიკური როტაციები გავიარე აშშ-ში, ემორის უნივერსიტეტში. ამ გამოცდილებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩემს პროფესიულ განვითარებას, გამაცნო განსხვავებული სამედიცინო გარემო და გზა გამიხსნა ამერიკის შეერთებულ შტატებში რეზიდენტურისკენ. ამჟამად ვიწყებ რეზიდენტურაში სწავლას შინაგანი მედიცინის მიმართულებით, **Wellstar**-ის ჰოსპიტალში.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც წლების განმავლობაში მუდმივად გვაძლევდნენ ცოდნის, განვითარების და ახალი შესაძლებლობების მიღების საშუალებას. მათი მხარდაჭერა და პროფესიონალიზმი ჩემი გზის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

მჯერა, რომ ექიმის პროფესიული განვითარება უწყვეტი პროცესია. ჩემი მიზანია, აშშ-ში მიღებული ცოდნა და გამოცდილება მომავალში ჩემს ქვეყანას და ქართული მედიცინის განვითარებას მოვახმარო. ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და საკუთარ პროფესიულ გზაზე მისი სახელის ღირსეულად წარმოჩენას შევეცადო.

ნინო გვაჯაია,
თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კურსდამთავრებული

# წერილები ალმა მატერს



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაბარება ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო. მახსოვს პირველი დღე თსსუ-ში _ უამრავი უცხო სახე, ახალი გარემო და მოლოდინებით სავსე მომავალი. ეს ყველაფერი ერთდროულად საინტერესო, ამაღელვებელი და ცოტათი შემაშინებელიც იყო. ვფიქრობდი, შევძლებდი თუ არა იმ პასუხისმგებლობის ღირსეულად ტარებას, რომელსაც სამედიცინო განათლება მოითხოვს. ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა მელოდა წინ, თუმცა ზუსტად ვიცოდი, რომ მნიშვნელოვანი გზის დასაწყისში ვიდექი. დროთა განმავლობაში შიში ინტერესმა ჩაანაცვლა, ხოლო გაურკვევლობა – მიზანდასახულობამ, ახალი ცოდნის მიღების სურვილმა და არჩეული პროფესიის სიყვარულმა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის მიმართულებამ ჩემ წინაშე სრულიად ახალი სამყარო გადაშალა. ეს არის სფერო, რომელიც სცდება ერთი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვას და მოიცავს მთელი საზოგადოების კეთილდღეობას, დაავადებათა პრევენციას, ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და ჯანდაცვის სისტემების ეფექტურ მართვას. სწორედ აქ გავიაზრე, რამდენად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დაავადებების მკურნალობა, არამედ მათი თავიდან აცილება და ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ადამიანებს ჯანმრთელი ცხოვრების შესაძლებლობას მისცემს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელობა განსაკუთრებით მკაფიოდ COVID-19-ის პანდემიის დროს გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში ჯერ კიდევ მოსწავლე ვიყავი, სწორედ მაშინ დავინახე, რამდენად დიდ როლს ასრულებს ეს სფერო საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვაში. პანდემიამ დაგვანახა, რომ ეფექტური მენეჯმენტი, პრევენციული ღონისძიებები, სწორი კომუნიკაცია და კვალიფიციური სპეციალისტები უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის. ვფიქრობ, სწორედ ამ მოვლენებმა გააძლიერა ჩემი ინტერესი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართ და კიდევ უფრო დამარწმუნა არჩეული პროფესიის მნიშვნელობაში.

თსსუ-ში გატარებული წლები ჩემთვის მხოლოდ ლექციები, გამოცდები და აკადემიური საათები არ ყოფილა. ეს იყო განვითარების, გამოცდილების დაგროვებისა და საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენის პერიოდი. აქ ვისწავლე პასუხისმგებლობა, კრიტიკული აზროვნება, და ის ღირებულებები , რომლებიც მომავალ პროფესიულ საქმიანობაში აუცილებლად გამომადგება. სწავლების პროცესთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ ადამიანებს, რომლებთანაც ამ წლების განმავლობაში მომიწია ურთიერთობა. აქ შევიძინე მეგობრები, რომლებთან ერთადაც სტუდენტური ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი მომენტები გავიზიარე. საერთო სირთულეებმა, წარმატებებმა და გამოცდილებამ განსაკუთრებული ურთიერთობები შექმნა, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც გაგრძელდება. გულწრფელ მადლობას ვუხდი უნივერსიტეტის პროფესორებსა და ლექტორებს, რომლებმაც თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გაგვიზიარეს, პროფესიული ზრდის გზაზე მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაგვიწიეს და დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი განვითარების პროცესში.

დღეს, როდესაც სტუდენტობის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ეტაპი სრულდება, გულში ერთდროულად არის სიამაყე, მადლიერება და მცირე სევდაც. ვემშვიდობები გარემოს, რომელიც წლების განმავლობაში ჩემი ყოველდღიურობის ნაწილი იყო, თუმცა თან მიმაქვს ცოდნა, გამოცდილება და მოგონებები, რომლებიც მთელი ცხოვრება გამყვება. თსსუ კი ყოველთვის დარჩება ადგილად, სადაც ჩემი პროფესიული და პიროვნული განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი გავიარე.

მზიკო ჩიტაძე,
თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის
საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მენეჯმენტის პროგრამის კურსდამთავრებული

**„Georgia from to Georgia“**



ამ წერილს ატლანტადან გწერთ. აქ გუშინ ჩამოვფრინდი და რამდენიმე დღეში შინაგანი მედიცინის რეზიდენტურას დავიწყებ. ახლა უკვე ზუსტად ვიცი, რომ ოცნებები მართლაც ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისკენ ბევრი შრომითა და სწავლით მიდიხარ.

დღეს, როდესაც ჩემი პროფესიული ცხოვრების ახალ ეტაპზე გადავდივარ, უდიდესი მადლიერებით ვიხსენებ ჩემს უნივერსიტეტს. მადლობა ჩემს მენტორებსა და პედაგოგებს, რომლებმაც მედიცინასთან ერთად პასუხისმგებლობა, ეთიკა და ღირსება მასწავლეს. მადლობა იმ გარემოსთვის, სადაც ამერიკულ სილაბუსსა და საერთაშორისო ღირებულებებზე დაფუძნებული განათლება მივიღე, სადაც გავიზარდე, როგორც პროფესიონალი და როგორც ადამიანი.

მადლობა იმ ექვსი წლისთვის, რომელიც სავსე იყო გამოწვევებით, მეგობრობით, უძილო ღამეებით, წარმატებებითა და, ხანდახან, მარცხითაც. ახლა, როდესაც უკან ვიხედები, ვხვდები, რომ უნივერსიტეტმა, პროფესიასთან ერთად, ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თავიც მაჩუქა.

განსაკუთრებული სიამაყით ვფიქრობ ჩემს მეგობრებზე, რომლებთაგან 22 ამჟამად ამერიკის სხვადასხვა შტატში ვაგრძელებთ რეზიდენტურას. ჩვენ სხვადასხვა ქალაქში ვართ, მაგრამ ერთი ისტორია გვაერთიანებს, რომელმაც გვასწავლა, რომ დიდი მიზნებისკენ სვლა პატარა საქართველოდანაც შეიძლება. დარწმუნებული ვარ, ერთ დღეს ყველა ერთად დავუბრუნებთ ამაგს ჩვენს ალმა მატერსა და ჩვენს სამშობლოს.

დაბოლოს, განსაკუთრებული მადლობა კენ ვოლკერს _ ადამიანს, რომელმაც ორი ჯორჯია წლების წინ დააკავშირა, ჯორჯიას შტატსა და ჩემს მშობლიურ საქართველოს შორის გადო ის ხიდი, რომელმაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებისკენ გაუხსნა გზა. სწორედ მისი წყალობით, უამრავმა ქართველმა ექიმმა მიიღო თანამედროვე, ეთიკურ და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული განათლება.

დღეს, ატლანტადან, ვგრძნობ მადლიერებას იმ ლექტორების მიმართ, ვინც ოცნება რეალობად მიქცია, საკუთარი თავის რწმენა მასწავლა და დიდი მიზნებისკენ გზა გამიკვალა.

ამ წერილს საქართველოდან დროებით წასული, მაგრამ საქართველოზე შეყვარებული მომავალი ექიმი გწერთ.

სიყვარულითა და მადლიერებით,

ლევან ალავიძე,
თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის
კურსდამთავრებული



როდესაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ამერიკულ პროგრამაზე ჩავირიცხე, წინ მხოლოდ ერთი მიზანი მქონდა – მიმეღო ისეთი განათლება, რომელიც შესაძლებლობას მომცემდა, საერთაშორისო სამედიცინო სივრცეში საკუთარი ადგილი დამემკვიდრებინა. დღეს, როდესაც უკან ვიხედები, ვხვდები, რომ უნივერსიტეტმა ამ მიზნის მიღწევისთვის გაცილებით მეტი მომცა, ვიდრე მხოლოდ ცოდნა.

ამერიკული პროგრამა ჩემთვის განსაკუთრებული გამოცდილება იყო. ის არა მხოლოდ სამედიცინო მეცნიერების საფუძვლების შესწავლას, არამედ კრიტიკული აზროვნების, პროფესიონალიზმისა და მუდმივი განვითარების კულტურას გულისხმობდა. სწორედ ამ გარემომ შემიქმნა საფუძველი, რომ წარმატებით ჩამებარებინა გამოცდები, ჩამეტარებინა სამეცნიერო კვლევები, მიმეღო საერთაშორისო კლინიკური გამოცდილება და, საბოლოოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში რეზიდენტურაში გამეგრძელებინა პროფესიული გზა; თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ წლებმა მასწავლა, ადამიანებთან ურთიერთობა და პასუხისმგებლობაა. უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა, საკუთარი თავი აღმომეჩინა როგორც მომავალი ექიმი, მკვლევარი და ლიდერი. აქ შევიძინე მეგობრები, მენტორები და გამოცდილება, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გამყვება.

განსაკუთრებული მადლიერებით ვიხსენებ პროფესორებს, რომლებმაც ცოდნის გარდა საკუთარი გამოცდილება, დრო და მხარდაჭერა გაგვიზიარეს. მათი რწმენა სტუდენტების მიმართ ხშირად ის ძალა იყო, რომელიც ყველაზე რთულ პერიოდებში წინსვლის მოტივაციას გვაძლევდა.

დღეს, როდესაც ახალი ეტაპი იწყება და აშშ-ში შინაგანი მედიცინის რეზიდენტურაში ვდგამ პირველ ნაბიჯებს, კიდევ უფრო ნათლად ვაცნობიერებ, რამდენად დიდი როლი ითამაშა თსსუ-მ ჩემს პროფესიულ და პიროვნულ ჩამოყალიბებაში. სადაც არ უნდა ვიყო მომავალში, ყოველთვის ვიამაყებ, რომ ჩემი გზა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ამერიკული პროგრამიდან დაიწყო.

მადლობა ალმა მატერს ოცნებების რეალობად ქცევისთვის.

სიყვარულით და მადლიერებით,
ნანიკო გონჯილაშვილი




სამედიცინო უნივერსიტეტში გატარებული წლები ჩემთვის მხოლოდ ცოდნის შეძენის და პროფესიის დაუფლებისთვის გაწეული შრომის პერიოდი არ ყოფილა _ ეს იყო მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელმაც როგორც პროფესიული, ისე პიროვნული განვითარების შესაძლებლობა მომცა, მასწავლა პასუხისმგებლობა, დროის სწორად გამოყენება და კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ სწორი პროფესიული არჩევანი გავაკეთე, მომავალში კი ვეცდები ეს ცოდნა და გამოცდილება ადამიანების დასახმარებლად გამოვიყენო.

სწავლის პროცესში მქონდა სტაჟირების გავლის და პაციენტებთან მუშაობის შესაძლებლობა, რამაც კიდევ უფრო გამიღრმავა ინტერესი ჩემი პროფესიისადმი, სწორედ ამ დროს გავაცნობიერე, რამდენად დიდ გავლენას ახდენს პროფესია ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო ლექტორებთან ურთიერთობა _ მათი პროფესიონალიზმი, მხარდაჭერა და გამოცდილების გაზიარება სწავლის პროცესს ბევრად უფრო საინტერესოს ხდიდა. თსსუ მხოლოდ ლექციებთან და გამოცდებთან არ ასოცირდება _ აქ არის გარემო, სადაც იზრდები, ვითარდები, სწავლობ თანამშრომლობას და დასახული მიზნისკენ სწრაფვას. ამ ოთხი წლის განმავლობაში უნივერსიტეტში შევიძინე არაერთი მეგობარი, რომლებიც მომავალში ჩემი კოლეგებიც იქნებიან. სწორედ ეს ურთიერთობები ხდის სტუდენტურ ცხოვრებას საინტერესოს... მიხარია, რომ თსსუ ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა, აქ გატარებული წლები კი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, ლამაზ და დასამახსოვრებელ პერიოდად დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

მართა ხიზანაშვილი,
ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურსდამთავრებული

# ECHO Georgia Hub-ის პირველი პროექტი წარმატებით განხორციელდა







29 მაისს თსსუ-ში ECHO მოდელის პირველი საგანმანათლებლო პროექტის შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები; ღონისძიება ჰიბრიდულ რეჟიმში ჩატარდა, შეფასდა გაწეული მუშაობის შედეგები და აღინიშნა, რომ ECHO Georgia Hub-ის პირველი პროექტი, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელშეწყობით და მონაწილეობით, წარმატებით განხორციელდა.

დასკვნით ღონისძიებაზე პროექტის მონაწილეებმა გამოთქვეს მოსაზრებები, ყურადღება გაამახვილეს პროექტის მნიშვნელობაზე და რწმენა გამოთქვეს, რომ იგი გაგრძელდება და მოიცავს მედიცინის სხვადასხვა დარგს.

ასოცირებული პროფესორი **ეკა ეკალაძე**, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი:

– ECHO-Georgia Hub-ის ფარგლებში განხორციელებული პირველი პროექტის წარმატებით დასრულება მნიშვნელოვანი ნაბიჯია როგორც ჩვენი უნივერსიტეტისთვის, ისე, ზოგადად, სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით საქართველოში. პროექტმა ნათლად აჩვენა, რამდენად ეფექტური შეიძლება იყოს საერთაშორისო თანამშრომლობაზე, გამოცდილების გაზიარებასა და მულტიდისციპლინურ მიდგომაზე დაფუძნებული სწავლების მოდელი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროექტი შეეხებოდა ბავშვთა ასაკში ტიპი 1 დიაბეტის მართვის ნუტრიციოლოგიურ ასპექტებს – თემას, რომელიც საჭიროებს ექიმების, ნუტრიციოლოგების, ფსიქოლოგების, ოჯახის წევრებისა და სხვა სპეციალისტების კოორდინირებულ მუშაობას. მონაწილეებმა მიიღეს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ პრაქტიკულ შემთხვევებზე დაფუძნებული გამოცდილება, რაც მომავალში პაციენტზე ზრუნვის ხარისხის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქალბატონებს: **ნონა ჯანიკაშვილს** და **ნანი ყავლაშვილს** პროექტის კოორდინირებისთვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამერიკული პროგრამის კურსდამთავრებულის, ენდოკრინოლოგიის რეზიდენტის, **მარიამ ონიანის** დამსახურება, რომლის მონდომებასა და ძალისხმევაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული პროექტი. გარდა შეხვედრების ორგანიზებისა, მარიამის თაოსნობით და ამერიკული პროგრამის სტუდენტების ჩართულობით, მომზადდა გზამკვლევი მშობლებისთვის ნუტრიციოლოგიის საკითხებში.

პროექტმა დაგვანახა, რომ ECHO მოდელს საქართველოში განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. კარგი იქნება, თუ ეს ინიციატივა ახალი საგანმანათლებლო პროექტების საფუძველი გახდება, ეს გააძლიერებს ჯანდაცვის პროფესიონალებს, განსაკუთრებით რეგიონებში და ხელს შეუწყობს ცოდნის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

**ნონა ჯანიკაშვილი**, თსსუ-ის საგრანტო პროექტების მოზიდვისა და ხელშეწყობის განყოფილების ხელმძღვანელი:

– ნიუ-მექსიკოს უნივერსიტეტში არსებული ECHO ინსტიტუტის აქტივობები ოპერირებს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში. ამ ინსტიტუტთან ჩვენი თანამშრომლობის შედეგად, თსსუ-ში გაფორმდა ხელშეკრულება საერთაშორისო პლატფორმა Project ECHO-სთან და შეიქმნა ECHO მოდელის პარტნიორი ორგანიზაციის ჰაბი – „ECHO Georgia Hub".

ECHO არის ვირტუალური სასწავლო ქსელი, რომელიც აერთიანებს ადამიანთა ჯგუფებს და მენტორებს, რომლებიც მუშაობენ ისეთ გლობალურ გამოწვევებზე, როგორიცაა ჯანმრთელობის და სოციალურ-ეკონომიკური საკითხები. პლატფორმა სპეციალისტებს საშუალებას აძლევს დაუკავშირდნენ მსოფლიო ექსპერტებს, გაიზიარონ გამოცდილება და ერთობლივად გააუმჯობესონ საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობა მთელ მსოფლიოში. 2025 წლის ოქტომბრის თვეში თსსუ-ში სტუმრად იმყოფებოდნენ ამერიკელი კოლეგები - ECHO-ს დამაარსებელი გუნდი, ჩატარდა ტრენინგები, გაგვიზიარეს მრავალწლიანი გამოცდილება ECHO-ს სისტემის და მისი სასწავლო მოდელის შესახებ.

პლატფორმა საინტერესო და მნიშვნელოვანია საზოგადოების იმ ნაწილისთვის, ვისაც არა აქვს წვდომა სიახლეებსა თუ მიღწევებზე განათლებასა და მედიცინაში. იგი საშუალებას აძლევს პრაქტიკოს ექიმებს, ჯანდაცვის სპეციალისტებს, რომ შექმნან მცირე ჯგუფები, სადაც ჩართული იქნებიან დაინტერესებული მხარეები, პოლიტიკის შემქმნელები, დარგის პროფესიონალები და, მათ შორის დისკუსიის შედეგად (რომელიც მოიცავს, ასევე, პაციენტის შემთხვევის პრეზენტაციასაც), გამოიკვეთოს პრობლემის გადაჭრის გზები – დისკუსიის დროს უკეთ სწავლობენ და აანალიზებენ დარგის გამოწვევებს, რაც, საბოლოო ჯამში, ძალიან ეხმარება მათ. ეს განსაკუთრებით საჭირო და მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყანაში, როცა ხშირად, ზოგიერთ დარგში, ახალგაზრდა ექიმებს, რეზიდენტებს არა აქვთ ინტენსიური მულტიფაქტორული პრაქტიკის მიღების შესაძლებლობა. ამ პლატფორმის საშუალებით ჩვენთან პროექტი განხორციელდა საერთაშორისო დონეზე, რადგან მასში ჩართულები იყვნენ საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები, განხილული იყო განსხვავებული შემთხვევები...

ეს იყო პირველი პილოტური პროექტი, რომელიც ECHO Georgia Hub-ის ეგიდით და თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ინიცირებით განხორციელდა და მიეძღვნა პედიატრიულ პრაქტიკაში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის მართვას; შედგა შემაჯამებელი შეხვედრა, რომელიც, იმედი გვაქვს, წაახალისებს ახალ ინიციატივებს და მომავალში ასეთივე წარმატებული პროექტების განხორციელების საწინდარი იქნება.

**ნანი ყავლაშვილი**, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ექიმი პედიატრი, თსსუ-ის პედიატრიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ECHO Georgia Hub-ის პირველი პროექტის კოორდინატორი:

– ECHO-ს მოდელი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში – ამერიკაში, ევროპაში, ინდოეთში – ფუნქციონირებს და სპეციალისტებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ სპეციალიზებული ცოდნა და საუკეთესო პრაქტიკა. საქართველოში განხორციელებული პროექტიც, რომელმაც ახლა შეგვკრიბა, ცოდნის გაზიარებაზე იყო ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ ონლაინ რეჟიმში ინფორმაციის მიღება/გავრცელებაც კომფორტული და მოსახერხებელი იყო როგორც ჩვენთვის, ისე უცხოელი კოლეგებისთვის.

მოგეხსენებათ, პროექტი მიეძღვნა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის მართვის საკითხებს; ჩატარდა სესიები, რომელზეც შერჩეული ექსპერტი კითხულობდა მოხსენებას, აქცენტი კეთდებოდა მთავარ საკითხზე; ერთი მონაწილე წარმოადგენდა რთულ ქეისს ამ თემასთან დაკავშირებით, შემდეგ კი – ამ ცალკეული შემთხვევის დისკუსია/მიმოხილვა. მნიშვნელოვანია, რომ ახალგაზრდებმა ბევრი სიახლის შესახებ გაიგეს, გაიღრმავეს ცოდნა, რაც დაეხმარებათ მომავალში.

ვფიქრობ, პროექტი ნაყოფიერი იყო როგორც მონაწილეების, ისე პაციენტებისთვისაც.

**მარიამ ონიანი**, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის კურსდამთავრებული, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს რეზიდენტი ბავშვთა ენდოკრინოლოგიაში, ECHO Georgia Hub-ის პირველი პროექტის ფასილიტატორი:

– ჩემი მოვალეობა გახლდათ მონაწილეების და ექსპერტების შერჩევა, რაც მნიშვნელოვანი იყო პროგრამის განხორციელებისთვის. შევარჩიე ბავშვთა ენდოკრინოლოგები როგორც თბილისიდან, ისე ბათუმიდან. შედგა კომუნიკაცია, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, საინტერესო და გასათვალისწინებელი მოსაზრებების გაზიარება პროფესიულ საკითხზე... მნიშვნელოვანია, რომ, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტებთან ერთად, შეიქმნა ბუკლეტი, რომელიც ერთგვარი სახელმძღვანელოა ნახშირწყლების დათვლის და ინსულინის დოზის კორექციისთვის; სტუდენტებთან ერთად ვცადე, ეს სახელმძღვანელო მომერგო ქართულ რეალობასთან – ჩვენს წეს-ჩვეულებებსა და კვების თავისებურებებთან.

მნიშვნელოვანია, რომ პროექტის მონაწილეებმა დავგეგმეთ შეხვედრები პროექტის ფარგლებს გარეთაც – სესიების დამთავრება არ ნიშნავს, რომ ჩვენი კომუნიკაციაც დასრულდა, პირიქით – ეს პროექტი იყო მოტივაცია, რომ მომავალშიც გავაგრძელოთ აქტიური მუშაობა, როგორც დარგში არსებული პრობლემების მიმართულებით, ისე პაციენტების რთული შემთხვევებისადმი გუნდური მიდგომით.

ნატო ბოლქვაძე

# საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია – „ჯანდაცვის პერსპექტივები XXI საუკუნეში"











2026 წლის 7-8 მაისს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც მიეძღვნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის 95 წლის იუბილეს, ასევე ოტავის ქარტიის 40 წლისთავს (რომელიც საფუძველი გახდა მთელ მსოფლიოში პროფილაქტიკური მედიცინის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის განვითარებისა);

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გამორჩეულ საიუბილეო თარიღებს დაემთხვა ქართული უნივერსიტეტის შექმნის იდეის ავტორის და ხორცშემსხმელის, დიდი ივანე ჯავახიშვილის, დაბადებიდან 150 წლისთავიც.

ხაზგასმით შეიძლება ითქვას, რომ ეს არ გახლდათ მხოლოდ საიუბილეო თარიღების საზეიმო აღნიშვნის ცერემონიალი – წარმოდგენილი პრეზენტაციები ფაკულტეტის საქმიანობის შესახებ, ფართო მასშტაბური წარმოჩენა და საზოგადოებისთვის გაცნობა გახლდათ იმისა, თუ რა კეთდება, რა სიახლეები ინერგება და რა სახის პროექტები იგეგმება სამომავლოდ განსახორციელებლად.

კონფერენციაზე წარმოდგენილები იყვნენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის პარტნიორი ორგანიზაციების და უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები თუ სტუდენტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (როგორც ვიზიტორების და სტუმრების სახით, ასევე, – დისტანციური ჩართვების მეშვეობით), რომლებთანაც ქართველ კოლეგებს ხანგრძლივი და საქმიანი პარტნიორული ურთიერთობები აკავშირებთ ერთობლივი სამეცნიერო კვლევა-ძიების, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების შექმნა-შემუშავების, სადოქტორო პროგრამების თანახელმძღვანელობის, სასწავლო კურსების განვითარების მიმართულებით და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ მომზადდა ფილმი ფაკულტეტის განვლილი ისტორიული პერიოდების მიმოხილვით და, ასევე, ელექტრონულად უკვე მზადაა საკონფერენციო კრებულიც – მომხსენებელთა აბსტრაქტებით, ისტორიული ნაწილით და შესაბამისი ფოტო-მასალით.

**ირინე ზარნაძე** – საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მენეჯმენტის, პოლიტიკისა და ეკონომიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი:

–კონფერენცია მრავალფეროვანი გახლდათ. მისი მსვლელობის პერიოდში გაიმართა სამეცნიერო და პოსტერული სესიები საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანმრთელობითი განათლების, ეპიდემიოლოგიის, კლინიკური მედიცინის მიმართულებით, როგორც თსსუ-ის, ასევე, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობის და 12 ქვეყნის (სომხეთი, რუმინეთი, ლიეტუვა, ბულგარეთი, გერმანია, სლოვაკეთი, საფრანგეთი და ა.შ.) უცხოელი კოლეგების მონაწილეობით.

კონფერენციას განსაზღვრული ჰქონდა მიმართულებები, სადაც თავისუფალი იყო არჩევანის გაკეთება იმ პრიორიტეტულ საკითხებზე, რასაც 21-ე საუკუნის ჯანდაცვის პერსპექტივები ითვალისისწინებს და წარმოდგენილი მრავალსექტორული, მრავალდარგობრივი პრეზენტაციებიც სწორედ ამ პრიორიტულ პრობლემებზე იყო ორიენტირებული. ფრანგი პარტნიორების – უნიმანის მენეჯმენტის აკადემიის პროფესორების მიერ წაკითხული იქნა სამი ლექცია საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის ჰოსპიტალურ მენეჯმენტში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტების მიერ ხორციელდებოდა ქართველი პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების გამოსვლების სინქრონული თარგმანი ქართულ და ინგლისურ ენაზე.

კონფერენციის დასასრულს მოეწყო მრგვალი მაგიდა, სადაც შემუშავდა კომუნიკე – დოკუმენტი, რომლის ფარგლებში, პარტნიორები როგორც პირისპირ, ასევე, დისტანციურად, შეჯერდნენ და აქცენტები სამომავლო თანამშრომლობის ფორმატზე აიღეს.

აღვნიშნავ და ვიტყვი, რომ, თუ ხარ აკადემიური სფეროს წარმომადგენელი, უნდა შექმნა სკოლა და ახალგაზრდებს ხელი უნდა შეუწყო განვითარებაში, მომავალ თაობას უნდა მისცე ინიციატივა, მონაწილეობა მიიღონ ახალი უმნიშვნელოვანესი პროექტების შემუშავებაში, მაგალითად, დღეს იქმნება და იწერება ახალი ქარტია. საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში დღესაც მუშაობს ოტავას ქარტია. თუმცა, ორმოცმა წელმა გაიარა და მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ახალი გამოწვევებია დღის წესრიგში, იცვლება ტექნოლოგიები, მოთხოვნები, რაც ამჟამად აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული. ამასთან დაკავშირებით, ფრანგმა და ესპანელმა კოლეგებმა შემოგვთავაზეს თანამშრომლობა და ჩვენც, ორ წარჩინებულ ახალგაზრდასთან ერთად, აქტიურად ვაპირებთ ამ პროცესში ჩართვას და შემდგომ თანამშრომლობას.

დარეჯან კომლაძე

# მედიცინის და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა ცერემონია



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ყოველწლიურად არაერთი ქართველი და საერთაშორისო სტუდენტი ეუფლება ცოდნას, სტუდენტობის დასრულებისთანავე კი მათ ცხოვრებაში დგება ახალი ეტაპი და ისინიც მზად არიან დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის დასაწყებად.

წელს **მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების 196 კურსდამთავრებული** აიხდენს ოცნებას და სწავლის დამთავრებისთანავე გააგრძელებს გზას პროფესიული სრულყოფისკენ. 2026 წლის 16 ივნისს თსსუ-ში ეს მნიშვნელოვანი მოვლენა – კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ცერემონია – ტრადიციულად, საზეიმო ვითარებაში აღინიშნა: სადღესასწაულოდ მორთულ ეზოში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, პროფესორ-მასწავლებლები, კურსდამთავრებულთა მშობლები, მეგობრები შეიკრიბნენ... კურსდამთავებულებს მიესალმნენ, სწავლის დასრულება და ცხოვრების მნიშვნელოვან ეტაპზე გადასვლა მიულოცეს თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა **ირაკლი ნატროშვილმა** და მედიცინისა და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანმა **დავით თოფურიამ**. მათ იმედი გამოთქვეს, რომ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა მომავალი პროფესიული წარმატებების საწინდარი იქნება.

ცერემონია კურსდამთავრებულთა ფიცის დადებით დასრულდა.

აღსანიშნავია, რომ ამ მნიშვნელოვან დღეს, საზემო განწყობას თან ახლდა სტუდენტობის დასრულებით და უნივერსიტეტთან განშორებით გამოწვეული ნოსტალგია. გავესაუბრეთ რამდენიმე კურსდამთავრებულს. მათ, უპირველესად, მადლიერება გამოხატეს თსსუ-ის ხელმძღვანელობის და პროფესორ-მასწავლებლების მიმართ, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს და სწორი მიმართულება მისცეს პროფესიული განვითარების გზაზე; აღნიშნეს, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გატარებული წლები საუკეთესო პერიოდი იყო მათ ცხოვრებაში და დღეს სიხარულთან ერთად სინანულითაც ემშვიდობებიან საყვარელ უნივერსიტეტს; ისინი სრულად აცნობიერებენ, რომ წინ მეტად საპასუხისმგებლო ეტაპი – წინააღმდეგობებით აღსავსე დიდი გზაა გასავლელი, განსაკუთრებულ შრომას, ძალისხმევას და ხშირად თავდადებასაც რომ მოითხოვს – ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში ყოფნა ხომ ამქვეყნად ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაა... წარმატებებს ვუსურვებთ მათ დამოუკიდებელი პროფესიული ცხოვრების რთულ და საინტერესო გზაზე!..

ნატო ბოლქვაძე

# აღიარებული კლინიცისტის, მეცნიერის და პედაგოგის საიუბილეო




პროფესორმა თენგიზ ასათიანმა კარიერული განვითარების ღირსეული გზა განვლო და წარმატებული პრაქტიკული, სამედიცინო, პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული მედიცინის განვითარებისა და აღმასვლის საქმეში. ღვაწლმოსილი ექიმი მეან-გინეკოლოგი იუბილარია.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1982 წლიდან, იგი, როგორც მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მუშაობას აგრძელებს თბილისის დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, მეანობა-გინეკოლოგიის პროფესორისა და კათედრის გამგის პოზიციაზე, შემდეგ კი მას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ირჩევენ.

10 000-ზე მეტი წარმატებით მიღებული მშობიარობის და, ასევე, ათასობით შესრულებული ოპერაციის პარალელურად, მისთვის არანაკლებ პრიორიტეტული გახლდათ სამეცნიერო საქმიანობა – პროფესორი თენგიზ ასათიანი ავტორია მსოფლიოს წამყვან სამედიცინო ჟურნალებში გამოქვეყნებული 70-ზე მეტი სამეცნიერო სტატიისა.

დიდია ბატონი თენგიზის როლი მომავალ მეან-გინეკოლოგთა აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში – იგი დღეს საქართველოსა და უცხოეთის სამედიცინო ცენტრებსა და კლინიკებში მოღვაწე არაერთი წარმატებული მოწაფით ამაყობს.

პროფესორი თენგიზ ასათიანი მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა რეპროდუქციული ჯანმრთელობის დეპარტამენტს; გახლდათ საქართველოს მეან-გინეკოლოგიის ასოციაცია – GOGA-ის პრეზიდენტი.

მნიშვნელოვანია მისი, როგორც აღიარებული და მაღალი რეპუტაციის მქონე ექსპერტის, ძალისხმევა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში ეფექტური პერინატალური დახმარების გავრცელების ინიციატივის შემუშავების თვალსაზრისით WHO/EUROPE-ის ქვეყნებში. ედინბურგისა და ტრიესტის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით კი, პროფესორმა თენგიზ ასათიანმა შეიმუშავა კურსი – „მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომა დედისა და ბავშვის მოვლაში“, რომელიც WHO/EUROPE-ის ქვეყნების კლინიცისტებისთვის ძირითადი სასწავლო მოდული გახდა.

პროფესორი თ. ასათიანი მჭიდროდ თანამშრომლობს UNFPA-სთან უსაფრთხო დედობის ინიციატივის ფარგლებში. იგი ბრიტანეთის სამეფო მეან-გინეკოლოგთა კოლეჯის – RCOG-ის ერთადერთი საპატიო წევრია (FRCOG) პოსტსაბჭოთა სივრციდან, რომლის წვლილი დედათა და პერინატალური ჯანმრთელობის განვითარების საქმეში ასე ღირსეულად შეფასდა.

ბატონი თენგიზის კარიერული წინსვლის ნაბიჯების გაცნობის გარდა, ჩვენთვის საინტერესო იყო, ასევე, მასთან პროფესიონალურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებაც გვესაუბრა, გავცნობოდით მის მოსაზრებებს დარგის მომავლისა და, ზოგადად, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხთან დაკავშირებით და როცა ჩვენი საუბარი განსაკუთრებულ კლინიკურ შემთხვევებს შეეხო, ბატონმა თენგიზმა დიაგნოსტიკური შეცდომების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს ის ფენომენია, რომელიც ყოველთვის არ ჯდება დიაგნოსტირებისა და მკურნალობის ნორმებში, ანუ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს პაციენტის მდგომარეობის გართულების შემთხვევაში, ამასთან, ის, ყველა ექიმის პრაქტიკაში შეიძლება მოხდეს – ამ სახის შეცდომების გარეშე, ალბათ შეუძლებელი იქნებოდა ექიმის ზრდა-განვითარება, მაგრამ მთავარი პრობლემაა აქ ისაა, რომ ბევრჯერ რატომღაც კოლეგებს საკუთარი შეცდომის დამალვა სურთ, რასაც არასასურველ შედეგებამდე მივყავართ; ექიმმა შეცდომებზე უნდა ისწავლოს, სამომავლო პრაქტიკაში მსგავსი რამ რომ აღარ დაუშვას; უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ ქვეყანაში ამ თვალსაზრისით მოქმედებს ე. წ. რეგისტრი, სადაც მსგავსი შეცდომები კონფიდენციალურად ფიქსირდება და აღინუსხება; ახალგაზრდა ექიმები ეცნობიან, სწავლობენ და აანალიზებენ მათ; სწორედ ამგვარი მიდგომა აკლია დღეს ჩვენს ჯანდაცვას, რომ არ იყოს შეცდომების მიჩქმალვის მცდელობა. თუმცა, ჩვენთანაც არსებობს შესაბამისი კოლეგია – მკაცრი ზომების გამოყენების პრაქტიკითაც, მაგრამ ჩვენთვის, კოლეგებისთვის, დიაგნოსტიკური გადაცდომების შესახებ ცნობილი არაფერია. ვფიქრობ, აუცილებელია მსგავსი შემთხვევების მზის სინათლეზე გამოტანა, თუნდაც, იმ სასიკეთო მიზნით, რომ გაჩნდეს შესაძლებლობა ალტერნატიული გზის არჩევისა, გაირკვეს თუ სადაა დაშვებული ის გადახრა, რომელიც შეიძლებოდა არ მომხდარიყო...

ისაუბრა რა მომრავლებული კლინიკების შესახებ, ბატონმა თენგიზმა აღნიშნა, რომ იგი ყოფილ პირველ სამშობიაროში 1984 წლიდან მუშაობს, მოსკოვში ინტერნატურისა და ასპირანტურის დასრულების შემდეგ; რამდენიმე ათეული წლის წინ აღნიშნული სამშობიარო სახლი კლინიკური ბაზა გახლდათ თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტისა; სამსართულიანი შენობა სამას საწოლზე იყო გაშლილი მელოგინეთათვის და თვლის, რომ დიდი რაოდენობით კერძო სამშობიაროების არსებობის პრაქტიკა მთლად გამართლებული არ უნდა იყოს, რომ პარალელურად აუცილებელია, არსებობდეს სახელმწიფო კლინიკებიც, სადაც საუკეთესო სამედიცინო მომსახურების გაწევის და პაციენტთა მოზიდვის მიზნით, შესაძლებელი იქნება თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვა-გამოყენება. კონკურენტი როცა არ გყავს, ძნელია კონკურენციაზე საუბარი; ამიტომ ვფიქრობ, რომ მალე მივალთ იმ აზრამდე, რომ ყველაფერი კერძო არ უნდა იყოს – სახელმწიფოს ანგარიშზე არსებული სამი-ოთხი საავადმყოფო თბილისში, თავისი მაღალკვალიფიკაციური მომსახურებით, სამედიცინო პერსონალის შესაბამისი ანაზღაურებით და დაფინანსებით, ნამდვილად აუცილებელი საქმეა. სახელმწიფო კლინიკამ პაციენტი უნდა მიიზიდოს მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურებით და შესაბამისი დაფინანსებით; კერძო კლინიკა შეიძლება იყოს ძალიან თანამედროვე, მაგრამ ყველასათვის ვერ იყოს მიმზიდველი გარკვეული მიზეზების გამო და, როდესაც ვსაუბრობთ ამ თემაზე, ბევრია ამ სეგმენტშიც მოსაგვარებელი. მრავალპროფილური საავადმყოფო იძლევა საშუალებას, პაციენტს – მელოგინეს, იქვე, ოპერატიულად გაეწიოს შესაბამისი სამედიცინო დახმარება, ვთქვათ, ქირურგიული, რეანიმაციული, პირველი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიღების თუ სისხლის გადასხმის კუთხით, ანუ ამ ტიპის კლინიკა მუდმივ მზადყოფნაშია; განსხვავებულია მრავალპროფილური კლინიკის მენეჯმენტიც, გნებავთ, მატერიალური, გნებავთ, თეორიული თვალსაზრისით.

კითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდა ზოგადად ჯანმრთელობის დაცვის საკითხს ჩვენში, ბატონმა თენგიზმა გვიპასუხა, რომ სადღეისოდ საკმაოდ კარგ დონეზე ვიმყოფებით ამ მიმართულებით:

– კლინიკებს მეტი შესაძლებლობა აქვთ მაღალტექნოლოგიური განვითარებისა და, შესაბამისად, მაღალეფექტური სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა. ასევე, ზოგადად, ქვეყანაში სათანადო სიმაღლეზეა ქირურგიული აქტივობაც. თუმცა, გვიჭირს რეაბილიტაციის თვალსაზრისით, რადგანაც ამ მიმართულებით ძალიან დიდი ფინანსური დანახარჯების გაღების საჭიროება დგას; ასევე, საჭიროა არაქირურგიული მკურნალობის უფრო მეტად წინ წამოწევის პრაქტიკის დანერგვაც. აუცილებელია ანაზღაურების საკითხის მოგვარება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა დემოგრაფიული მდგომარეობის მხრივაც. სავალალოა, რომ მშობიარობის რაოდენობა მცირდება, რამაც გასულ წელს საქართველოში მხოლოდ 33 000 ერთეული შეადგინა, როცა 1990-იან წლებში ეს მაჩვენებელი 80 000-ს უტოლდებოდა. საჭიროა ახალგაზრდა ოჯახების წახალისება, მათთვის ყოფითი პრობლემების მოგვარება და სტიმულის მიცემა სამომავლო აღმასვლისთვის...

... ისევ აქტიური პროფესიული საქმიანობით ცხოვრობს ბატონი თენგიზი – ამჟამად კლინიკის დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში, ისევ ჩვეული სიყვარულით ემსახურება ათეულობით წლის წინათ არჩეულ საქმეს, ჩვეული სიდინჯით, აკურატულობით და გულისხმიერებით ასრულებს გინეკოლოგიურ ოპერაციებს, ახდენს ახალ პაციენტთა კონსულტირებას, შემოვლებს, აკონტროლებს კლინიკის ეპიდემიოლოგიურ რეჟიმს და, თავისთავად, აქვს გამოკვეთილი და მისაღები შეხედულებებიც დარგის თუ ჯანდაცვის სამომავლო აღმასვლა-განვითარებისა...

... მოუღლელი ბუნება კვლავ არაერთი სასიკეთო საქმის გაკეთებას სთხოვს ქვეყნის, კლინიკის, უნივერსიტეტის და პაციენტების საკეთილდღეოდ, რადგანაც ღირსეულ სიცოცხლეს – საქმის სიყვარულს, საუკეთესო გამოცდილებას და სიღრმისეულ ცოდნას კვლავაც არაერთი სიკეთის მოტანა შეუძლია.

დღეგრძელობას ვუსურვებთ!

დარეჯან კომლაძე

# პირველად საქართველოდან – თსსუ-ის გუნდი SIMUniversity-ის საერთაშორისო კონკურსის ფინალში

**დასაწყისი გვ 2-დან**

და **ასოცირებულმა პროფესორმა, დალი ჩიტაიშვილმა**, წარმოადგინეს მოხსენებები. კონფერენციას, ასევე, ესწრებოდნენ: **ასისტენტ-პროფესორი ლია ოტიაშვილი** და **ცენტრის სპეციალისტი ნათია დავლიანიძე**; როგორც ქალბატონი ირმა მიიჩნევს, ახალგაზრდა სპეციალისტები რაც შეიძლება ადრე უნდა ჩაებნენ აღნიშნულ აქტივობებში, რათა სწორი წარმოდგენა შეიქმნან იმის შესახებ, თუ რა ვითარებაა ამ მხრივ საერთაშორისო ასპარეზზე.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ SESAM-ის კონფერენციას საქართველოდან სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და ისინი თსსუ-ის გუნდს გულშემატკივრობდნენ.

თსსუ-ის წარგზავნილების მიერ მიღებული შედეგი იმ ხანგრძლივი და თავდაუზოგავი შრომის ნაყოფიცაა, რომელშიც უდიდესია, მათი ახალგაზრდების მენტორის, ცენტრის მოწვეული მასწავლებლის, **გიორგი კვიციანიძის,** დამსახურება. ამასთან, თსსუ-ის ცენტრში ახალგაზრდებს ყველანაირი პირობა ჰქონდათ შექმნილი, გადაუდებელი დახმარების მართვის პროტოკოლების შესაბამისად, განკუთვნილ პერიოდში შეუფერხებლად ემუშავათ მანეკენებთან.

ცენტრის ხელმძღვანელი, **პროფესორი ირმა მანჯავიძე**, ასევე, დაესწრო ტრენინგს სიმულაციური სტანდარტების შესახებ და აღნიშნა, რომ ამ სტანდარტების გაცნობა იძლევა საშუალებას, შეააფასო შენი თავი, თუ სად დგახარ, რამდენად სწორად მიდიხარ, შეესაბამება თუ არა შენი აქტივობა წარმოდგენილ საერთაშორისო სტანდარტებს. აღსანიშნავია, რომ ლიონში, ასევე, წარმოდგენილი იყო ე.წ. კონსენსუსის დოკუმენტი სიმულაციური სწავლების შესახებ, რაც გამოყენებული იქნება პროფესორ ირმა მანჯავიძის ავტორობით მომზადებულ იმ სახელმძღვანელო-გზამკვლევში, რომელიც მალე გამოიცემა.

ლიონში, SESAME-ის ახალი პრეზიდენტთან და გენერალური მდივნთან შეხვედრისას განხილულ იქნა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

**პროფესორმა ირმა მანჯავიძემ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ წარმატებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თსსუ-ის რექტორის, პროფესორ **ირაკლი ნატროშვილის**, თანადგომას, რისთვისაც მას, ცენტრის სახელით, დიდ მადლობას მოახსენებს.

დარეჯან კომლაძე

# დაარსებიდან 25 წელი და წიგნად აკინძული წარმატების ისტორია


„სტუდფესტი 2026“


„ჰიგიას“ ახალი თაობა



***თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან არსებული თეატრი „ჰიგია“ წელს დაარსებიდან მნიშვნელოვან თარიღს - 25 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამ ხნის მანძილზე მან არაერთი წარმატებით გაახარა მაყურებელი. ყოველწლიურად დასს ემატებიან ახალი წევრები, თეატრის უსაზღვრო სიყვარულით შთაგონებული ადამიანები, რომლებიც, რეჟისორთან ერთად, ქმნიან თეატრის წარმატების ისტორიას.***

***საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გავესაუბრეთ თეატრის რეჟისორს, როგორც „ჰიგიას“, ისე „მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა საერთაშორისო ფესტივალ „ნიღაბის“ და თსსუ-ის გადამღები ჯგუფის*** – RE Production-***ის – დამფუძნებელს, თსსუ-ის ასოცირებულ პროფესორ*** **ნათია გუჯაბიძეს:**

**– ნათია, უპირველესად, გილოცავთ: ახლახან „ჰიგიას“ დაარსებიდან 25 წელი შესრულდა, რაც სოლიდური თარიღია არა მხოლოდ სტუდენტური თეატრისთვის... რომ გაიხსენოთ, როგორ იქმნებოდა იგი და წლების გადასახედიდან რა შეგიძლიათ თქვათ: რა არის თქვენთვის "ჰიგია" და როგორ წარმოგიდგენიათ სტუდენტური თეატრის მომავალი, ანუ – „ჰიგია“ მრავალი წლის შემდეგ?**

– თეატრი ჩემი დიდი სიყვარული იყო ჯერ კიდევ ბავშვობიდან, მიუხედავად იმისა, რომ ექიმის პროფესია ავირჩიე, ეს დიდი სიყვარული არასოდეს გამნელებია. გარდა ამისა, მივიჩნევ, რომ **კარგი ექიმი, ამავდროულად, კარგი ხელოვანიცაა.** ცხადია, სურვილი მაქვს, დიდხანს ვიყო თეატრის რეჟისორი და კიდევ ბევრი კარგი წარმოდგენით გავახარო მაყურებელი, თუმცა, კიდევ უფრო ძლიერია სურვილი, „ჰიგიამ“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად გააგრძელოს და არასოდეს შეწყვიტოს არსებობა.

...ჯერ კიდევ თსსუ-ის კოლეჯის მე-3 კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა გადავწყვიტე ოცნება რეალობად მექცია: შემოვიკრიბე თეატრის მოყვარული სტუდენტები, გამოვაცხადე ე. წ. „ქასთინგი“ – შევარჩიე დასის წევრები... ცხადია, სურვილის განხორციელებისთვის საჭირო იყო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის თანადგომა. თეატრის დაარსების იდეის სულისჩამდგმელი, პირველი, ვინც ჩვენი იდეა მოიწონა და გვერდით დაგვიდგა, გახლდათ ბატონი **ალექსანდრე (ალეკო) ციბაძე**, თსსუ-ის სამედიცინო კოლეჯის დირექტორი. ბატონმა ალეკომ და ქალბატონმა **ცისანა ხომერიკმა** (კოლეჯის დირექტორის მოადგილემ) დამიბარეს და ვისაუბრეთ თეატრის მომავალზე; იმედი გვქონდა, რომ პირველი პრემიერის შემდეგ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, კერძოდ, მაშინდელი რექტორის, პროფესორი **რამაზ ხეცურიანის**, თანადგომით, თეატრი არსებობას გააგრძელებდა. ასეც მოხდა. რეპეტიციებისთვის გამოყოფილ ოთახში, შერჩეულ სტუდენტებთან ერთად, დავიწყე პირველი სპექტაკლზე – „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ – მუშაობა. ჩვენი პირველი შეკრების დღე იყო 2001 წლის 11 ივნისი; პირველი სპექტაკლის პრემიერა ანშლაგით შედგა იმავე წლის 29 დეკემბერს, ამიტომაც **თეატრის დაარსებას ორივე თარიღს ვუკავშირებ: 2001 წლის 11 ივნისსაც და 29 დეკემბერსაც.** აქედან იწყება „ჰიგიას“ აღმავლობა და ამ ხნის მანძილზე არაერთი პრემიერა, პრიზი, ჯილდო, წარმატება...

**– სწორედ ამ წარმატებების შესახებ გვიამბობს წიგნი, რომელიც ახლახან გამოიცა – ვის ეკუთვნის წიგნის გამოცემის იდეა და ვინ იყვნენ ჩართულები წიგნზე მუშაობის შრომატევად პროცესში...**

– ამჟამინდელმა დასმა, ბოლო თაობის ჰიგიელებმა, გადაწყვიტეს ეს დიდი სიყვარულის ისტორია, რაც დაარსებიდან დღემდე „ჰიგიას“ უკავშირდება, წიგნად აეკინძათ. წიგნის გამოცემის იდეა ეკუთვნის მოქმედი დასის წევრს, თსსუ-ის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტს, **თეკლა ყამარაულს.** მასთან ერთად იმუშავეს დასის სხვა წევრებმაც და წელს, სიმბოლურად სწორედ 11 ივნისს, გადმომცეს მათი დიდი სიყვარულის და მონდომების შედეგი – წიგნი „ჰიგიაზე“, მის წარმატებებზე... მკითხველი წიგნის საშუალებით გაეცნობა ყველა სპექტაკლის აფიშას და მონაწილეებს, ასევე, უნივერსიტეტის ამჟამინდელი და ადრინდელი ხელმძღვანელობის, პროფესორ-მასწავლებლების, საქართველოს სხვადასხვა თეატრის ცნობილი რეჟისორების და მსახიობების და, რასაკვირველია, ჩვენი თეატრის სხვადასხვა თაობის გამორჩეულ მსახიობთა მოსაზრებებს თუ შეფასებებს „ჰიგიას“ შესახებ, რაც არა მხოლოდ ჩვენი საყვარელი თეატრის, არამედ, ზოგადად, თეატრის შესახებ სიყვარულის ერთგვარი გამოხატულებაა...

მინდა მადლიერება გამოვხატო უნივერსიტეტის რექტორის და კანცლერის, ბატონების: **ირაკლი ნატროშვილის** და **ალექსანდრე ბუაჩიძის** მიმართ, რომელთა წვლილიც დიდია არა მხოლოდ წიგნის გამოცემის ფინანსური უზრუნველყოფის, არამედ თეატრისადმი განსაკუთრებული ზრუნვის და თანადგომის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ 25 წლის მანძილზე, დაარსებიდან დღემდე, თეატრმა 30 პრემიერა წარმოადგინა და 400-ზე მეტი ადამიანი (დასის 434 წევრი) ქმნიდა თეატრის წარმატების ისტორიას... მნიშვნელოვანი იყო, ჯერ კიდევ „ჰიგიას“ 10 წლის საიუბილეოდ, რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეჟისორის, ბატონი **რობერტ სტურუას** დადებითი შეფასება თეატრისადმი, რაც ერთგვარი სტიმული იყო ჩვენთვის. რახან რუსთაველის თეატრი ვახსენეთ, აქვე ვიტყვი, რომ ჩვენი დასის გამორჩეულმა წევრმა, **გიორგი სანიკიძემ,** რომელიც, ამავდროულად, თსსუ-ის სტუდენტი გახლდათ, გადაწყვიტა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გაეგრძელებინა სწავლა, გამოცდები უმაღლეს დონეზე ჩააბარა, მისით დაინტერესდა რობერტ სტურუა და მოხდა უპრეცედენტო რამ: ჯერ კიდევ პირველკურსელი, დიდმა რეჟისორმა პირდაპირ რუსთაველის თეატრის მსახიობად აიყვანა, რაც საამაყო და სასიხარულოა ჩვენთვის.

„ჰიგიამ“, ამ 25 წლის მანძილზე, მართლაც განსაკუთრებული სიამაყის წუთები და დაუვიწყარი ემოციები გვაჩუქა მეც, დასის წევრებსაც და „ჰიგიას“ გულშემატკივრებსაც, რაც ახალგამოცემულ წიგნშიც კარგად აისახა.

**– ამ ისტორიის ნაწილია ფესტივალი „ნიღაბიც“ და არაერთი დამსახურებული პრიზი ამ ფესტივალზე...**

– ფესტივალ „ნიღაბზე“ არა უშუალოდ რომელიმე სპექტაკლი, არამედ სხვადასხვა ნომინაციაში წარმატება ფასდება და ამ კუთხითაც თვალსაჩინოა დასის წევრების გამარჯვებები ყოველწლიურად... ფესტივალი „ნიღაბი“ თეატრის დაარსებიდან 11 წლის შემდეგ შეიქმნა, რომელიც მოგვიანებით საერთაშორისო ფესტივალად იქცა, რადგან მასში არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების სტუდენტური დასებიც ჩაერთნენ. გარდა „ნიღაბისა“, სულ რამდენიმე წლის წინ, დავაფუძნეთ თსსუ-ის გადამღები ჯგუფი – RE Production.

**– ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ამ ჯგუფის მიერ გადაღებული ფილმის წარმატება...**

– დიახ, 2025 წლის ბოლოს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრ „ჰიგიას“ გადამღები ჯგუფის, Re Production-ის, მიერ გადაღებულმა მოკლემეტრაჟიანმა ფილმმა – „პალატა N 6“ – ავსტრიაში, კერძოდ, ვენაში გამართულ ARDELION AWARDS GALA 2025-ზე (European Film Association-ის დაჯილდოება) გაიმარჯვა ნომინაციაში – **„საუკეთესო სტუდენტური ფილმი“** და, საერთაშორისო ჟიურის გადაწყვეტილებით, გრან-პრი და პირველი ადგილი მოიპოვა. ეს იყო მაღალი დონის ფესტივალი, შესაბამისად, ჩვენი გადამღები ჯგუფის სერიოზული წარმატება...

**– თეატრის არსებობის 25 წლის მანძილზე მაყურებელი მომსწრე იყო არაერთი აღიარების... რეჟისორისთვის, ალბათ, ყველა წარმოდგენის პრემიერა მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელია, მაგრამ მაინც: არის გამორჩეული სპექტაკლი, რომელმაც განსაკუთრებული სიხარული მოგიტანათ?**

– უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავდი, რომ თეატრს ჰქონდა წარმატებები ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, თუმცა, ყველა პრიზს და წარმატებას შორის, **განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ჰიგიას“ ყოველწლიური გამარჯვებები სტუდენტურ დღეებზე** – არ ყოფილა არც ერთი წელი ჩემი სტუდენტობიდან დღემდე, რომ „ჰიგიას“ პირველი ადგილი არ დაემსახურებინოს ამ მნიშვნელოვან სტუდენტურ ღონისძიებაზე, რაც, მართლაც, დიდი მიღწევაა და ძალიან მახარებს. თეატრის აღიარება იყო ისიც, რომ, საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის გადაწყვეტილებით, 2018 წელს, მას **სახალხო სტუდენტური თეატრის წოდება** მიენიჭა.

ყველა წარმატებული პრემიერა, ცხადია, სასიხარულოა რეჟისორისთვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ჰიგიას“ არსებობის მანძილზე 30 სპექტაკლი დავდგი, ყველა დიდი შრომის შედეგია და, ალბათ, არ გაგიკვირდებათ, რომ მიჭირს გამორჩევა, თუმცა კი, მაინც იყო განსაკუთრებული სპექტაკლები: **„ოსვენციმი“, „ღმერთო, დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები“, „ომობანა“, „ტყუილი გრძელ ფეხებზე“ და „ჯერ დაიხოცნენ და მერე იქორწინეს“.**

**– ამჟამად რაზე მუშაობთ?**

– ვმუშაობთ ახალ სპექტაკლზე – მოლიერის „ძალად ექიმზე“, რომლის პრემიერაც ოქტომბერში გაიმართება. ახლა დასში 40 მოყვარული სტუდენტი მსახიობია, დიდი სურვილი მქონდა, ყველა დამეკავებინა, რის შესაძლებლობასაც ეს კომედია იძლევა. გარდა ამისა, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ იგი ეხმაურება ჩვენს პროფესიასაც...

**თეკლა ყამარაული, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტი:**

„მე ახალი თაობის ჰიგიელი ვარ, ანუ თეატრის მოქმედი დასის წევრი; თეატრისადმი ჩემი სიყვარული უსაზღვროა, „ჰიგიამ“ კი ჩემი ცხოვრება განსაკუთრებით გაალამაზა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ძველი თაობის ჰიგიელების დამოკიდებულებამ საყვარელი თეატრისა და ერთმანეთისადმი – დავინახე საოცარი სიყვარულით დაკავშირებული ადამიანები, შევხვდი ჰიგიელებს უნივერსიტეტის გარეთაც, სხვადასხვა კლინიკაში, უკვე შემდგარ პროფესიონალებს, რომლებიც, როგორც ოჯახის წევრები, ზრუნავენ ერთმანეთზე და ამ კავშირს ინარჩუნებენ წლების მანძილზე, რაც თეატრის რეჟისორის დამსახურებაა.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, „ჰიგიას“ შესახებ წიგნის გამოცემის სურვილი გამიჩნდა, რაც მინდოდა სიურპრიზი ყოფილიყო ნათიასთვის. გავერთიანდით რამდენიმე ჰიგიელი: **ელენე უჯმაჯურიძე, მოლინა იოსელიანი, თეკლა ხუჯაძე, სალომე სალინაშვილი, ნატა გოროზია** და **ხვიჩა სებუა**, რომელმაც დიდი შრომა გასწია წიგნის ტექნიკური უზრუნველყოფის თვალსაზრისით. დავიწყეთ წიგნზე მუშაობა, შევკრიბეთ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, პროფესორ-მასწავლებლების, თანამშრომლების, „ჰიგიას“ გულშემატკივრების შეფასებები; ამ პროცესში სიამოვნებით ჩაერთნენ ყველა თაობის გამორჩეული ჰიგიელებიც, რომლებმაც სიყვარულით და მადლიერებით აღსავსე წერილები მიუძღვნეს საყვარელ თეატრს... 11 ივნისს, თეატრის დაარსებიდან 25 წლისთავზე, ჩანაფიქრი რეალობად ვაქციეთ და წიგნის ნაბეჭდი ვერსია უკვე რეჟისორს გადავეცით.“

***„ჰიგიას“ წარმოდგენებით განებივრებული თეატრის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემელი მოუთმენლად ელის საყვარელ თეატრთან შეხვედრას, რომელიც, როგორც რეჟისორმა აღნიშნა, ოქტომბერში შედგება; პრემიერა კი, გვჯერა, ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც დაარსებიდან დღემდე დასის მიერ წარმოდგენილი ყველა სპექტაკლი.***

ნატო ბოლქვაძე

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64 რედაქტორი ელა მუკბანიანი
კორესპონდენტები: დარეჯან კომლაძე; ნატო ბოლქვაძე
ელ-ფოსტა newspaper@tsmu.edu